№1 1918 ℓ.

ლადო მაჭავარიანის
რედაქტორობით.

ᲐᲘᲡᲘ.

ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡ ᲡᲐᲠᲩᲔ:

ლადო მაჭავარიანი — „ტრიოლეტი“.

ი. გრიშაშვილი — „ტრიოლეტი“.

კ. კაპანელი — „სიკვდილი და სიყვარული“.

ვალერიან გაფრინდაშვილი — „დუელი ორეულთან“

ტიტე ტაბიძე — „ავტოპორტრეტი“.

პაოლო იაშვილი — „წითელი ხარი“.

დ. ცვარნამი — „მთვარეულს“.

ნ. ასათიანი — „ლეგენდა“.

რაჟდენ გვეტაძე — „სონეტი“.

კოლლაუ ნადირაძე — „ჩემს ლანდს“.

შ. კარმელი — „სალარნაკო მელოდია“.

ნ. მიწიშვილი — „აკვარელით ნახატები“.

გრ. ცეცხლაძე — „ლოთის სონეტი“.

აკაკი ბერეკაშვილი — „ყოველივე ჩემთვის“.

გ. მეგრელიშვილი — „ჩემი მადამი“.

კ. ებრალიძე — „თეთრი ჰაშიში“.

ა. პირველი — „შავი გვირგვინი“.

ᲠᲘᲗᲛᲔᲑᲘᲡ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘ.

ᲣᲓᲐ: Დ. ᲬᲔᲠᲔᲗᲚᲘᲡ.

რედაქტორი: ᲚᲐᲓᲝ ᲛᲐᲭᲐᲕᲐᲠᲘᲐᲜᲘ.

1138

დატირებულ ლანდებში

იუდას მოჩვენებათ აიშალა უდაბნო
შორეულ მთის ოცნების სათუთ ტანის მდაღველი,
უძილო ღამის თევას მინდა გზა დაუდაფნო,
როს მეტყველებს ყრუ ქარი ნოემბრის თვის ნაღველით...

დაითალხა წამებით მთვარის ფერწასულობა,
წვიმა, ქარვის ფოთლებში ზანტად დათავისახლდა,
ღრუბლის ფერმკრთალ სიარულს თანსდევს დაქანცულობა,
უმიზნო ცრემლთა დენა ტკივილით განმიახლდა...

ვკანკალებ ჩემს ოთახში თვალთმაქც საუკუნეთი,
იწვის სიცალიერე დატირებულ ლანდებათ,
მსხვრეულ ფიქრთ ნაოსნობას ფარავს ზღვაუკუნეთი,
წამთასვლა იქვს მიჰყვება წუთისოფლის ფანდებათ...

ატირდა სიყვარული ყვავილთ ქედებს გადაღმა,
სიკვდილის მოლოდინში ტანს მივლის ჟრუანტელი,
შიშით მოვიქანცები — და ნამთვრალევს ამაღამ,
სევდის ცრემლად ჩამომქნის ნაცრის ფერი სანთელი...

ს ო ნ ე ტ ი

მზე მოიქანცა, საუკუნის ანჩხლ დასახლებით...
თვალთმაქცობს გველი ტანშელეწილ სითამამეში,
კვნესის ზღვა სივრცე სპილენძისფრად აშლილ ღამეში,
ცივი ღიმილით მოკვდა მთვარე იქვის თანხლებით...

იწვის უდაბნო უიმედო წამთ განახლებით,
ვერ ვგრძნობ სიმშვიდეს მე წუთიერ ფერად რამეში.
გიჟი სიმთვრალე სიქაბუკით ტლანქ სიამეში—
დასისხლიანდა ყრუ ქვითინად ალმას ხანჯლებით...

სასაფლაოზე ვიგვიანებ ლექსთა ზმანებით,
მოღლილ ხელებზე მოვიხსენი ხელთათმანები
ქვრივ ღამისთევით ტკივილით მჩხვლეტს სისხლად ხველება.

ვდარაჯობ ოთახს, გელოდები, მაგრამ არ ჩნდები,
კვდება ლანდები რუხ სიცივით — და ვგვიანდები,
და ვგვიანდები ულიცოცხლო ამეტყველებათ.

ტ რ ი ო ლ ე ტ ი

„ლურჯი თვალები“ დავივიწყე ჩქარ დაღამებით,
ალარ ვარსკვლავობს ჯვარსაწერი თეთრი სანთელი,
დაავადმყოფდა სიქაბუკე ქლექურ წანებით,.
„ლურჯი თვალები“ დავივიწყე ჩქარ დაღმებით...
ფრთამალ წამთასვლის უიმედო ახამხამებით,
მახრჩობს ტკივილით შავ ქარბუქის კორიანტელი,
„ლურჯი თვალები“ დავივიწყე ჩქარ დაღამებით,
ალარ ვარსკვლავობს ჯვარსაწერი თეთრი სანთელი.

ი. გრიშაშვილი.

ტ რ ი ო ლ ე ტ ი

მაშ, ჩემი ლექსი შენ გგონია ტლანქი და მრუში? —
რა გაეწყობა.. აგრე იყოს.. თუ გჯერა.. თუ გსურს..
მაშ ჩემი ლექსი შენ გგონია ტლანქი და მრუში?
თვითონ მტრედსაც კი, დაბუდებულს ძველ საყდრის ღრუში,
ჩემზედ ძლიერად სტანჯავს ვნება, სტანჯავს ხურუში
და მე, ხომ ვაქებ მაშრიყის მზეს, მზეს მთვარის თუქსუზს?
მაშ, ჩემი ლექსი შენ გგონია ტლანქი და მრუში? —
რა გაეწყობა.. აგრე იყოს.. თუ გჯერა.. თუ გსურს...

კ. კ ა პ ა ნ ე ლ ი.

სიკვდილი და სიყვარული

ლირიკული განცდა.

Les grandes pensées
viennt du coeur.
Vauvenargus.

სუნთქვა სიყვარულისა უფრო ძლიერია, ვიდრე სიკვდილის სუნთქვა: სტიქია სიყვარულისა უსაზღვროა, ვით ოკეანე, ვით მარადისობა; სტიქია სიკვდილისა ერთდროულია, ვით ლანდი; სიყვარულს ძალუძს ერთი წუთი მარადისობად აქციოს და მარადისობა კი წუთად შესცვალოს; სიკვდილი უარჰყოფს ყოველგვარ მარადისობას და გვევლინება მხოლოდ ერთი წუთით.

* * *

გახვეული ცისკრის სხივთაგან მოქსოვილი მსოფლიო სიხარულის ხავერდში, სიყვარული თვალწინ გვიშლის ზურმუხტოვან სივრცეს, ღმერთებით და ოცნებებით გამშვენიერებულს... აღელვებულ და უსაზღვრო ზღვაზე ღრუბელთა მსუბუქ ფრთებით მოექანება ჩვენსკენ სიყვარული, რათა მან მძლავრი გრგვინვით, თვის ოქროს ზმანებათა ოქროს ნემსებით დასჩხვლიტოს სული ჩვენი, რათა მან ოცნების გაზაფხულით, ნაირ ყვავილით, ვარდის კონით და ოქროს ქსოვილით დაატკბოს გული ჩვენი, მარტოდ შთენილი, სურვილით ძლიერი, მაგრამ წუთისოფლით მოტყუებული. სიკვდილი ჰფარავს მგზნებარე ვნებას ცრემლთა მდინარისაგან შექმნილ ღრუბლებით და ამოსრტყოცნის ხალხთა და სამეფოთ, რომელთაც ელის ცივი დავიწყება და გახრწნა...

* * *

სიყვარულს ცეცხლი უკიდია, მაგრამ იგი არ იწვის, ვით არ იწვოდა ბიბლიური ცეცხლმოკიდებული ჩირგვი; სიკვდილმა არ უწყის — რა არის ღვთიური წვა. სიყვარული ცეცხლში იწრთობა და კოცნა მისი გვიხსნის მთელ სიღრმავეს კოსმიურ ტანჯვა — დაქანცულობას: იგი აერთებს ოცნების ოკეანეში უსაზღვრო ლურჯ ეთერს და დემონიურ სიცივეს მიწისას; სიკვდილი აშორებს ცას და დედა-მიწას მსოფლიო სივრცეთა სიცივითა...

* * *

ბასრი და ბრწყინვალე წვეტით ეჭრება სიყვარული უძრავ, ცივს მარმარილოს და შემოქმედებითი აღტაცებაში ამოსტყორცნის მისგან სხივოსანს, მკვეთრ სახეს ნათელ-მომღიმარე გულის დედოფლისას: სუნთქვა სიყვარულისა უფრო ძლიერია, ვიდრე სიკვდილის სუნთქვა.

ვალერიან გაფრინდაშვილი.

დუელი ორეულთან

რკალიდან: მე—სარკეში.

დუელს ერთმანეთს ვპირდებოდით ბოროტ მინაში,
როგორც ლურჯ გედის მოტრფიალე ფარშავანდები.
აი ცბიერად აქანდაკდა ის ჩემს წინაშე,
თითქოს მაშინებს საზიზღარი მისი ფანდები.

ზრდილობიანი, ვით მსახური მაწვდის იარაღს...
როცა რევოლვერს დავუმიზნებ, მიეფარება
საშინელ სარკეს და სიჩუმეს სვამს როგორც არაყს,
შემდეგ ფრთიანი ავაზაკობს და მეპარება.

შემომთავაზა ორეულმა სამართებელი:
ერთად ვიპარსავთ—ის ბროლში და მე სიცხადეში,
და თუ დაიჭრა სამუდამო ჩემი მხლებელი,
სწრაფად ჩავყვინთავ სასიკვდილო სარკის ბადეში.

ის დანით ყელთან მე მიცქერის, ვით თავის მკვლელი,
ისევ ერთმანეთს ვუკვირდებით, როგორც ჯაშუშებს,
ხელის გაქნევას უკანასკნელს მისაგან ველი,
და ჩემს იარებს მოურჩენელს ვერ დააშუშებს!

ვართ დანიშნული ერთმანეთის მისტიურ დაღით,
როგორც რაყიფნი ველოდებით წუთს შესახვედარს,
ვხვდებით სიზმარში: ის გამიპობს სახეს მათრახით,
და მათრახითვე ვუპასუხებ თანასწორ მხედარს.

ვხვდებით ერთმანეთს—განწირულნი—სარკის მინაში,
მესმის მუქარა: „შებრალებას ჩემგან ნუ ელი“.
ის კიდევ ხშირად ამათრთოლებს თავის წინაშე,
არ ვიცი როდის გათავდება ჩვენი დუელი!

ტიტე ტაბიძე.

ავტოპორტრეტი

უალდის პროფილი... ცისფერი თვალები,
სარკეში იმალება მოთეთრო ინფანტა,
ღლიავის დაკოცნით მალე ვიღალები,
მწვავენ ტალღები თმებმა რომ დაჰფანტა.

მასსენეს ელოდენ დათლილი თითები,
ჯირითს რომ ელიან ფეხ-მარდი ცხენები.
სხვანაირ მუსიკის დღეს მბანენ ზვირთები,
ძვირფასად ვირთები ლექსების ხსენებით.

აზიურ ხალათში, ვით ფაშა ეფენდი,
ოცნებობ ბაღდადზე მოღლილი დენდი,
ვფურცლავ მალარმეს „Divagacions“.

იყავი რაც გინდა შავი, საცოდავი,
ცხოვრებავ! ხელში მაქვს შენი სადავე,
რომ თვით ჯოჯოხეთი სამოთხეთ გაქცია.

პაოლო იაშვილი.

წითელი ხარი

წითელი ხარის ნაძოვარზე ბალახი აღარ ამოდის—ნაცეცხლარი.
ხალხური სიმბოლიკა.

ყვითელი რქებით
წითელი ხარი,
ცხელი და ჩქარი
ვადიდოთ ქებით.

ცეცხლიან ყვავილებში მოჩვენება წითელი
ცხელი ცახცახით ელის,
რომ ქვეყნის ამღერება
იქნება მზის ნადიმი, შუადღის მშვენიერება.

გაგიჟდება ალით მხარე. ცისკენ მიჰქრის კვნესით ხარი,
მიწა რქებით მონათხარი ნაკვერცხლებათ სცვივა ჰაერს.
ხარის ლანდი გაჩნდა ტევრში. ზღვა აღარ სჩანს ოქროს მტვერში.
მიწის ლოცვა აქ ფრთას ვერ შლის, ვერ შლის სურვილს ათასნაირს

ხარსა ხარი მისდევს მზესთან,
ვინ დაითვლის წითელ ხარებს?
ჰაერს ფრთები აუკვნესდა.
ყველა მზისკენ! ყველა მზეში! მიწა ველარ გაგვახარებს!

ქვეყნის ცეცხლი რკალში სახლობს,
ის, რაც ცოცხლობს შავად ახმობს,
რაც ტყეების დასანგრევათ
ცხელ ზაფხულში ჩვენკენ ილტვის,
სანადიმოთ მოსაწვევათ
ჩვენ გვიგზავნის წითელ სიკვდილს.

და მზის ცხოველს, ყვითელ რქებით
ქვეყნად ცეცხლის ფრთით რომ დადის.
ჩვენ ვადიდებთ წმინდა ქებით
და ვეჩქარით ალურ ნადიმს.

დ. ცვარნამი.

მთვარეულს

ზოგჯერ ალისფრთა მომიქროლებს, შემომედება,
დამკოცნის, დამწვავს ძილმღვიძარა აღტაცებაში,
ათასთთა შორის თვალი ისევ შენ მოგედება,
ათასთთა შორის შენ ერთს გამჩნევ პირველ წყებაში...

მე აღარ ვიცი თვალთა ბინდი რით მაჯადოვებს
რომ მასზე ფიქრი არ მასვენებს და არც მიშორებს,
შენსკენ მოვყავარ საქორწინოთ ლაღ სიზმრის მდევებს,
ღამე გვაერთებს და დღე ისევ გვაშორიშორებს...

მთვარის ჩქერაზე შენ გეწვევი ჩრდილთ ხეივანში
მომხიარულე, მოცეკვავე და მონავარდე,
შენს სხეულს ვარწევ სიყვარულით ოქროს აკვანში,
და არვის ვუმხელ, რადგან ვშიშობ გაუჩინარდე...

ნ. ასათიანი.

ლ ე გ ე ნ დ ა

—აბა დაიწყე...

უთხრა ქალმა ვაჟს, რომელიც ზღვის პირად ფიანდაზად გადაშლილ ზღვის ხავსზე წამოწოლილიყო და ზღვის სიღრმეში ვარსკვლავთა ლანდების ქორწინებას ჩასჩერებოდა.

—ნუ! ნუ გინდა, მათქმევინო ლეგენდა მზე და მთვარისა,თუ შენთვის ძვირფასია დაუსრულებელი ოცნება სიყვარულისა...

ნუ გინდა გაიგო, როგორ გაჩნდენ ვარსკვლავები, ეს იდუმალობით არის მოცული და იდუმალობათვე უნდა დარჩეს, როგორც სიყვარული ზღვის გედებისა...

—არა მიამბე.--უთხრა ქალმა, მე მაგ ლეგენდით დავითვრები და თავდავიწყებით მივეცემი დაუსრულებელ ოცნებას.

„ძველად, უხსოვარ დროს, ცამ არ იცოდა რა იყო ვარსკვლავები.—ცის დაუსრულებელ კაბადონს მხოლოდ მზე და მთვარე გვრიდა სიხარულს.

მხოლოდ მზე და მთვარე ეხვეოდენ ცის ლურჯ სამოსში.

მხოლოდ ისინი მედიდურობდენ სიყვარულის ლაღ სამეფოში...

ისინი ერთი არსებისაგან იყვნენ შობილნი...

კეკლუცობდენ და კეკლუცობაში მიჯნურობით ერთმანეთს ეჯიბრებოდენ. მაგრამ მიუწდომელი სივრცე იყო მათ შორის.

მხოლოდ ისართა ტყორცნით კმაყოფილდებოდენ...

მზეცა და მთვარეც სადღესასწაულოდ ერთი სახით ირთვებოდენ, რომ ერთმანეთს შეხვედროდენ, გულში ჩასწდომოდენ და სიყვარულის ახალი ნაყოფი ეგემათ.

დრო მიჰქროდა... სიყვარული კი, ელვის სისწრაფით იწვოდა...

შავი ტყე მხოლოდ მათთვის შრიალებდა. დედამიწა, მათი სიბრალულით, ვერცხლის ცრემლებს აფრქვევდა და თვალუწვდენი ზღვანი ორთქლად ჰქრებოდენ...

ფრინველები ნაზად გალობდენ, ვარდყვავილები სურნელებას აბნევდენ და მდინარენი ტყის ფერიის კისკისით მოგიჟმაჟობდენ, რომ ედიდებიათ მზე და მთვარე.

თვით განდგომილნიც კი ლოცვად დგებოდენ, რომ მზისა და მთვარის წამებას ბოლო მოჰღებოდა.

დადგა უკანასკნელი ჟამი.

მზისა და მთვარის კვნესა იგრძნო განგებამ.

ამბობენ: ერთ მშვენიერ დღეს ცის კიდური შუა გაიყო და შეყვარებულნი ვნებათა ღელვით შეერთდენ.

მზემ მოასწრო მთვარეს კოცნის მოპარვა.

მხოლოდ ერთხელ აკოცა... შვება იგრძნეს...

მაგრამ შვება იგი იყო წუთიერი...

ცის კიდური ისევ შეერთდა და ისინიც განშორდენ.

გავიდა დრო და მთვარემ გამოზაფხულის დაისის ჟამს შობა ვარსკვლავები. თვითონ დაიცრიცა და მისთვის ფერმკრთალობს ღამის წყვდიადში.

* * *

ასეთი არის ლეგენდა ვარსკვლავების წარმოშობისა და აი, იქ ზღვის სიღრმეში ვარსკვლავთა ლანდების ქორწინებას, რომ ჰხედავ, ის ნაყოფია მხოლოდ ერთის გიჟურის კოცნისა. დაასრულა ზღაპარი ვაჟმა.

რაჟდენ გვეტაძე.

ᲧᲕᲘᲗᲔᲚᲘ ᲡᲢᲠᲘᲥᲝᲜᲔᲑᲘ

„თეთრი წიგნი-“დან.

მუნჯ მოგონებით დავიტირე ჩვენი წარსული,
ჯვარი დავუსვი ყმაწვილობის თავხედ გიჟობას;
ჯერ ახალგაზრდა... და, უდროოთ ხანში შესული—
ტანჯვით ვამშვენებ ჩემი ყრმობის ფერმკრთალ დღეობას.

ᲭᲚᲔᲥᲘᲡ ᲡᲢᲣᲛᲠᲝᲑᲐᲛ ᲒᲐᲛᲘᲧᲘᲜᲐ ᲡᲘᲡᲮᲚᲘ ᲫᲐᲠᲚᲕᲔᲑᲨᲘ,
აღარც ვნება მაქვს, აღარც გული, —დაჰვკარგე ყველა.
სისხლის ფურთხებით ვიტანჯები ქარვის თვეებში...
ნეტავ თუ როდის მეღირსება სიკვდილით შველა?..

იყო და, გაჰქრა—ვით სიზმარი, როგორც ჩვენება:
ჩვენი გიჟობა... სიყვარული უსაზღვრო შვებით...
რა ვქნა არ ვიცი... ველარ მხიბლავს შენი შვენება,
და, ვერც სამოსი შემკობილი საფირის ქვებით.

თავდავიწყებას ველარ იწვევს ჩემში ზმანებით:
შენი ღიმილი... და, თვალები ნაზ-ბივრიტისა,
ვერც შენი ტანი მოღვედილი ლამაზი ვნებით,
ველარც სინაზე—სამკაული წმიდა ხატისა.

არ ვიცი რატომ,—დავავიწყდით უკვდავ სიყვარულს,
და, რათ ასრულდა მხოლოდ ჩვენზე „ზანგის იგავი“;
ალბათ იმიტომ, რომ ვერ გხედავ,—ტრფობით დანატრულს,
რომ დავიწყებას ჩავაბარეთ ჩვენი ამბავი.

მაგრამ დრო გავა...—და, ჩემს კუბოს უხმოთ ასწევენ,
დამიტირებენ მხოლოდ ლანდნი, ჩემი წარსულის;
შავი კაცები ჩემს ჩონჩხ სხეულს ცეცხლზე დასწვავენ...
იქნება მხოლოდ სახე დამრჩეს ლამაზი სულის.—

თუ გაგახსენდე შენგნით მკვდარი, ტრფობის მემინდე,—
ნუ! ნუ მიტირებ, ვერას მარგებს ხმა სინანულის,
მხოლოდ ამას გთხოვ, და ცოდვები ამით შემინდე:—
ყველას აუწყე დაფარული ჩვენი წარსულის!..

ᲡᲝᲜᲔᲢᲘ

მამია ფაზელს.

მე, მიყვარს ღამე—დაურღვეველ მყუდროობაში,
და გაცრეცილი, სევდიანი ღიმილი მთვარის,—
ვით მწუხარება ქარვისფერი ლამაზი მკვდარის,
და, ყვავილები სასაფლაოს ყრუ დღეობაში.

როს მნათობთ ნისლი ჩაიბნევა მთის ხეობაში,
და, ამთვარდება სიამაყე ძველი საყდარის,—
ამ დროს ხმა მესმის მამიასი, უცხო სადარის,
და, ვამჩნევ ლანდსა დაფიქრებულს მარტოობაში.

ის, ხან საზარლათ, დემონივით გადიხითხითებს,
ხან-კი—მწუხარე ლოცვებათ ჰქმნის თვის ყრმობის მითებს.
ხან აგონდება მარიამი, ხან კახაბერი—

და ატირდება, ვით ლოცვის დროს—ურწმუნო ბერი;
ხან წყევათა ჰქმნის ბედისადმი მიძღვნილ ნაზ-ოდებს,
და ჩონჩხათ ქმნილი—შუალამემდის უსიტყვოთ გოდებს.

კოლლაუ ნადირაძე.

ჩემს ლანდს

მუდამ ერთად ვართ განუყრელათ, დაუცილებლათ
საბრალო მუნჯო, ჩემო ლანდო, მორთულო თალხით...
ჩემი აქ ყოფნა გაგიხდება შენც სანანებლათ:
აქ არვინ ხარობს ჩემ შეხვედრით, და ჩემი ნახვით!
გახრჩობს სიმუნჯე, გსურს გაიგო ჩემი წამება,
გინდა მიამბო ქვების სევდა, სურნელი დილის,
იტანჯი შენცა, და გაშინებს, შენც დაღამება...
ჰკანკალებ ჩუმათ, როს გაიარს ლანდი სიკვდილის.
როდესაც დაღლილს აღარსად მაქვს გზა წასასვლელი,
და ველარ შევსძლებ გამოუცნობ შიშის ატანას—
გავრბივარ შენგან: მეჩვენები ჯალათი, მკვლელი,
და თრთოლვით ველი, რომ დამარტყამ ქურდულად დანას!
მაშინ ეს ქუჩაც ფეხს აიდგამს, გამოიქცევა,
შავი სახლები დასაჭერად მიწვდიან ხელებს!..
ავ მოჩვენებათ ეს ქალაქი გადაიქცევა,
დამიჭერს თმებით, და... მომახვევს კისერზედ გველებს...
ვიცი, რომ კიდევ დიდხანს ვიართ ჩვენ ქვეყანაზე
უნიჭო პიესის—ამ სიცოცხლის—ორი მასხარა!..
ქუჩის ძაღლები გვიტირებენ ხელის გახსნაზე,
რომ ჩვენ არასდროს არ ვყოფილვართ აქ ღვთის ამარად.

შალვა კარმელი.

სალარნაკო მელოდია

ქარვის ფოთლები გამხდარა ვნებით,
ტირილით სწყდება ხის კენწეროებს,
ისრულად ცაში გრძელ ქარავნებით
გაუკრავთ გეზი მზისკენ წეროებს.
სჭკნება მტილნარი სემირამიდის,
ჭლექდება ღამე მთვარის ფარილში,
უცხო მგზავრებთან ჩემი რა მიდის,
ბე რა ვიპოვე მათ პურ-მარილში?
რად მიყვარს ხოლმე ოქროს ფანდური,
აზამთრულ მწუხრის ნისლურ ტევრებში?..
რად მეჩვენება მორფი ლანდური
ვით ორეული მზის სატევრებში?!.
იცანი სულო ზამბახპირული,
დაზედ უდესი დებში დობილი?..
ვესტის სატევრით გულგანგმირული,
მარჯნის კუბოში ხელდაჭდობილი!..
—სტირს ჩემთან ტბაზე სირენა დებით,
დნება სანთლებთან საკურთხევლები,
ვენერაც სტირის სერენადებით,—
ველარ შველიან მთვარეს მხევლები!
აწ იანვარიც ნაძვის იმ ღერებს
შემოსს თოვლისფერ ქაფით რებული,
მზე კი, ამაოდ მოქსოვს სიმღერებს—
თეთრი სხივებით გაფითრებული!

აკვარელით ნახატები

მზე უკანასკნელათ შეჩერდა ცის კაბადონზე.
უკანასკნელათ გადაავლო თვალი ქვეყანას და მოკვდა...
მთვლემარე ბინდმა ჩაიკრა გულში არე-მარე. შორს ქალაქის სანთლებმა დასჭრეს ღამის შავი ნიღაბი. აქ კი აყვავილებულ ზღვის ტალღათა ჩქერს თეთრი ნისლი გადაეხვია.

ზღვაში მდგარი პატარა გემი მთვრალი ქანაობით გაჰყვა ტალღათა ნანინას.
ცოტა ხანს კიდევ ისხდა ზღვის ნაპირას ახალგაზდათა ჯგუფი.
ამეტყველდა ნესტიანი ქარი და ისინიც ნელის ნაბიჯით, წყვილწყვილათ გაეშურენ ქალაქისაკენ.
თითქოს ბნელი ღამე აქრობდა ხმათა ბგერას— ისმოდა მხოლოდ ნელი, ჩუმი საუბარი...

ყველაზე წინ მიმავალი ქალ-ვაჟი სიყვარულზე ბაასობდენ.
ქალის მკლავზე გადახლართული ყმაწვილის ხელი თრთოდა, ვით სიცილი წამებულისა; მისი მთვრალი, აბნეული ლაპარაკი ღამეში გზას გადამცდარი კაცის ბორძიკსა ჰგავდა.
— იცი, ჩემო... მე მიყვარს ის უბანი სადაც შენა ცხოვრობ; შემიყვარდა ის გზა, სადაც შენ დადიხარ...

ვერ წარმომიდგენია თავი უშენოთ, ჩემო კარგო, ჩემო მშვენიერო...
და ის ჰკოცნიდა ქალის ხელის თითებს, მის ათრთოლებულ ხელში რომ ფრთხიალებდენ...
მათ გადაუხვიეს ხეებში, ჩამოსხდენ გრძელ სკამზე.
ღამემ გადააფარა მათ თავისი მდუმარე კალთა, და ვით ფოთოლთა წკრიალი—ისმოდა ხის ძირას:
— მიყვარხარ!..
— შენ, მხოლოდ შენ!..
— მუდამ, მარადის!..
და წკრიალა კოცნა ადასტურებდა გრძნობათა სიტყვიერ გამოთქმას...

* * *

მეორე დღეს განშორდენ ისინი ზღვის პირას გაბნეულ ქალაქს.
მატარებელი მიჰქროდა, აღფრთოვანებით ჰკვეთდა სივრცეს და შორს მიაქანებდა მათ.
იმ ვაგონში თითქმის არავინ არ იჯდა.
თითქოს შველას ეძებდა ვაჟის ძლიერ მკერდზე—ქალი ვნებით ეკვროდა ვაჟს. ის კი სიყვარულის მარგალიტებს კრებდა ცირას თვალთა მღელვარე ზღვაში.
მატარებელი გაჩერდა. აქ დიდი სადგური იყო და მატარებლის შენაცვლა უნდა მომხდარიყო.
ისინი ბაქანზე გადმოვიდენ. გაიარეს.
ვაჟის ხელზე მიყრდნობილი ქალი უკბათ შეკრთა, შეჩერდა—თითქოს თვალებზე ბინდი გადაეკრა, და—გაოცებით წამოიძახა:
— ღმერთო ჩემო, რა მშვენიერია!..
და თვალი გააყოლა ახლო მიმავალ კოხტა აფიცერს.

* * *

დაჰკრეს ზარი.
ვაჟი მარტოთ გაჰყვა იმავე მატარებელს, ზღვის ნაპირას გაბნეულ ქალაქისაკენ...

გრიგოლ ცეცხლაძე.

რკალიდან: „ლიბრედი ლანდები“.

სნეული ოცნება მოღლილი სულისა,
ჭლექიან ფიქრებში რაა სახალისო,
ვით ფერმკრთალი სახე ტანჯულ ასულისა,
ჩაფერფლილი გული ყრუ სევდით აივსო.

მე ვერ გამახარებს როიალის ხმები,
ნაზი სიმფონია გულში ვერ ჩამწვდება.
ველურ არღნის ღრიალს მე უფრო ავყვები,
—დაუკრავენ „ხოზანს“—სევდა მავიწყდება.

მე მინდა ქეიფი, მე მინდა ლოთობა,
ჭინჭილებით ღვინო—ჭიქებით არაყი,
ძმათნაფიც ბიჭებში თენებით გართობა,—
რომ ძილი მოქანცულ თვალებს აღარ ეყოს;

მთვრალები შევიართ ბნელ ყავახანებში,
თუთუნის კვამლით რომ სულ ლიბრედათ ბნელა,
ღმერთად გამოვჩნდებით უიღბლო ძმანებში,
ქალაქის ოხრები აქ არიან ყველა.

მახინჯმა სასტუმრომ თავი შემაყვარა,
სიზმრების ბურანში ქაჯს ნახავდით კუზით,
ყოველ-ღამე დადის აქ ერთი ავარა
მისი ორეული სისხლის ფერი ბლუზით.

მდიდრებათ რომ გვამჩნევს მეგობრებს გვიწოდებს,
დალურსულ წარბებს ქვეშ ღრმა, ჭროღა თვალები,
როცა მოგვიყვება გარყვნილ ეპიზოდებს
ცეცხლის პერწკლებს ჰყრიან, როგორც მაშხალები.

შამპანიურს გააქვს ნუშხუნი ჭიქაში,
მწყურვალებს და მშივრებს დავუძახეთ ყველას,
ბერძაღლი ავარა ჩვენი ტოლუმბაში,
მთვრალი დაემსგავსა კბილ ჩაცვენილ მელას;

ბოროტს კარგათ ვამჩნევთ ფერმა დაუარა,
სიავის ლეგენდას ცოდვები სწყურია,
ხელში უცახცახებს ბებუთი მარმარა,
უბედურის გზები სისხლით ნასხურია...

აირ-დაირიენ ჩხუბობენ ლოთები,
მოზავეთ ჩავარდა შავწვერა ყაჩაღი,
იმსხვრევა სუფრაზე—ჭიქები, ბოთლები,
აჯილღით დედმამის გინება გაჩაღდა—

ჯიბგირმა ავაზაკს დანა მიაგება,
ჩვენც რევოლვერების დავიწყეთ თამაში,
ქურდები, მკვლელები ყველა ფეხზე დგება,
ატყდება ყაილა ყრუ ყავახანაში...

—

მე მიყვარს ასეთი დროების ტარება,
ცხოვრების ჭაობში წუთით ნეტარება.

ლოთის სონეტი.

თბილი ოთახი მე არ მინდა, არც მოსვენება,
გარეთ გავათევ არაყის და ღვინის ამარა,
თუ მოვკვდე მთვრალი—ქუჩა იყოს ჩემი სამარე—
დილას გამვლელებს ვეგონები მე მოჩვენება.

არავის არ ვსთხოვ, რომ დაესწროს მუნჯ გასვენებას,
არც არავინ მყავს, რომ საფლავზე ცრემლი დაღვაროს,
მე მდაბალ ძმებში უფრო ვგავარ ისევ ავარას —
ზურნა, ქეიფი და სუფრული „ღმერთმაინებოს“.

მიყვარდა გულით!.. თაყვანს ვსცემდი ვერჰარნს და როდენს,
მაგრამ ვერ ვეტყვი საქართველოს დღეს „გიხაროდენს“‘
წამებით კვდება, ჩემში ვხედავ, ნიჭი ბევრგვარი,

მე თვითონ ვამჩნევ ჩქარი სულის ნელ-შენელებას,
უიმედობამ ლოთობაზე დამწერა ჯვარი,
თითქოს ვუყვარვარ ცოდვილ ფიქრს და საშინელებას.

აკაკი ბერეკაშვილი.

„ყოველივე ჩემთვის“

ნეტავ საით გადაფრინდა სიყმაწვილე, ყრმობა-ჭაბუკობა?
შევეკითხე ჩემს თავს.
მან მოგონების აკლდამას სარქველი ახადა და შიგ ჩამახედა.
იქ ბნელოდა.
აკლდამა წარსულზე ოცნებამ გაანათა და დავინახე შიგ რვეული, სიყმაწვილის ცეტი ხელით დაწერილი, ადგილ-ადგილ გაუგებარი...
და ამოვიკითხე:
„სიყმაწვილის ყვავილები—დროთა ბრუნვამ დააჭკნო...
ტკბილი ოცნება —სინამდვილემ ჩასძირა...
სიყვარული—სიძულვილმა დაფერფლა...
სიძულვილი—სიმახინჯემ დაბადა...
სიცილ-კისკისი—ტირილმა დააბნელა...
სიხარული—სიმწუხარემ დაიჯაბნა...“

. . . . . .

შევშინდი...
გულის სიმჩატე-სიცალიერე ვიგრძენი...
სიცოცხლის უმიზნობა ტვინს გამხმარი თითებით ეხებოდა.
მოგონება ბნელს კუნჭულს მიეფარა.
ვსტიროდი სიყმაწვილეს, ყრმობას, ჭაბუკობას...
როცა გრძნობას გამანადგურებელ ძალების ბინადრობაზე შევეკითხე, მან ცხოვრებაზე მიმითითა.
ცხოვრებას კი შუბლზე ეწერა:
„ყოველივე ჩემთვის!“...

ბ. მეგრელიშვილი.

ჩემი მადამი

ნაღველი მიძღვენ მე სამუდამო,
შენ საქორწინოს ატარებ ოქროს
და ხვთაებრივი ქალწულ მადამი
მავალებ მარად იდუმალ ოხვრას.
ლურჯ სიზმარივით აუხდენელი
დასჭკნა ვარდები დანაპირები.
მიხვალ მადლიან სხივთა მფენელი
მტანჯავს ეგ შენი განაპირება.
შენაც სტიროდი? ცრემლთა ჩანჩქერით
რომ სახე ასე, გაქვს შელახული?
ან როს თვალებში ზრუნვით ჩაგცქერი
შიგ რად სჩანს სევდა ჯერ არ ნახული?
ან რისთვის გითრთის ძვირფასი ხელი
ან რად მიცქერი ასე გედურებ?!
იქნებ გამწუხრებს მძიმე ნაღველი
ან იქნებ ფიქრობ გისაყვედურებ?
სუ, მშვენიერო, ტურფა რჩეულო,
კმარა ბავშობას თავი ანებე;
ვარ უბედობას მე დაჩვეული
უძვირფასესო ნუ გენებები.
მსურს კვლავ ვისმენდე შენს ხმას, ჰანგებ-ნაზს
შევსცქერდე თრთოლვით მკერდის დაბუთებს
და ოდეს ფიქრი დაგვიწყებს ძებნას
ვნატრობდე მარად ამ წითელ წუთებს
ისე კი აბა რად გებრალები?
ჰგავს სული ჩემი მამაც მეზღვაურს;
ბედის დაცინვას არ ვემალები
თვითვე დავსცინი ჩემს ხვედრს უცნაურს.
არის მხოლოდ „მე“ და მის გარშემო
მრავალთა „მეთა“ სცეკვავს ლანდები.
სხვანაირია ნაზო გზა ჩემი
სულს ვერვინ ეტყვის „კმარა მანდ ები“
თავისუფალი და უუფლებო
ჩემთვის ლამპარიც ნუ აენთება
სულში მიბრწყინავს ძვითფასი თვლები
და ელვარებით თვით ითენთება.
მაშ ვისაუბროთ სიამე — შვებით,
ვით ორმა, სწორმა, განძზე ფარულზე,
მაგრამ თუ მაინც დრო გამოშვებით
ასევდიანდე ჩვენს სიყვარულზე

ან მოგენატროს ის ხმები ნაზი
ვარდმა რომ უთხრა ერთხელ ზეფირებს
იცოდე რომ მას ამ ქვეყანაზე
ეხლა არავინ არ იპეპირებს.
მიუწდომელო და საქორწინო
შენ თითს გიმშვენებს ბეჭედი ოქროს;
მაგრამ გაშინებს გზა ჯვარედინი
და გრიგალივით იქვი ბობოქრობს
მართალიც არის, ძნელია, ბედი
თავისუფალმა ასე სხვას ანდოს;
უფრო ძნელია, მოკვდეს იმედი,
მესაფლავესაც დააგვიანდეს;
მაგრამ გიჟ ჟამთა ცვალებადობამ
იცის ხალისის კვლავ განახლება.
ბედნიერება და უბედობა
ლექსებში მწყობრად დაესახლება
იქნები მარად ჩემი მადამი
გული ოცნებას კვლავ შეგიყვარებს
და დავიტირებ როგორც ადამი
მე დაკარგული სამოთხის კარებს.

კ. ეგრალიძე.

თეთრი ჰაშიში.

დასანიშნავი იყო შენი გამოცხადება
სიამპარტავნით გამოჰკვეთე ღამის ლანდები,
მოღლილ დარდებით გავიფიქრე—მე გავქმარდები—
როგორც ლაღ ბესიკს არ უყვარდა შორით ზმანება...

მყუდრო ქალაქში მოიტანე მღელვარე შიში,
გული გამიპე ფრჩხილ მარმარა კოჭწვრილი ფეხით,
უჩვევი სევდა გარითმული დარდის ატეხით—
შენ დაატყვევე სამუდამოთ და ადავრიშე...

მე განჩინებით ვიცი მელის ვაი და ვიში,
მკლავთა რკალების ვერ დამათრობს თეთრი ჰაშიში...
შენ, დამცილდები... მიმატოვებ... ვერ ჩამბარდები...
ვერ გავქმარდები... დამიტირებს ღამის ლანდები...

მაგრამ, მერწმუნე—შენც ეს გელის! შენც სხვა დაგტოვებს,
გაგამარტოებს მტვერ დაფრქვეულს, უხმოთ მკვნესარეს,
დაუბრუნდები ჩემს საფლავზე ტირიფის რტოებს,
ხეს შეაკვდები და გადმოჰყრი ცრემლებს მდუღარეს.

ამბრუნი პირველი

ბოროტება

მეფის მშვენიერ ქალს ვაჟი არ ენახა...
ერთხელ, როდესაც პირველად ბაღში შეეჩეხა მას ვინმე ჭაბუკი,—ქალი შეკრთა და ამაყი თავი ძირს დახარა. .
ვაჟი როგორც გველი მისრიალდა ქალთან:
— ქვეყნის შვენებავ!..
— ვინა ხარ შენ?...
— ბუნების ჯადოვ!..
— მე არ ვიცი, რას ამბობ...
— მომხიბლე!..
— მე არ ვიცი, რას ამბობ...
— მიყვარხარ...
— მე არ ვიცი რას ამბობ...
ვაჟს ბოროტი გული აუღელდა, ქალს მიუახლოვდა, მოხვია ხელები და ნორჩ ტუჩებში ხარბად დაეწაფა...
ქალიც ვაჟის კოცნით მთვრალი, ცახცახით მიეყრდნო მის მკერდს...
— ვფიცავ ცას, დედა-მიწას... ვფიცავ ყოველივეს, რომ მეყვარები... ღმერთად გავიხდი... სანთლად აგენთები... უჩურჩულებდა ვნებით გატაცებული ვაჟი...
— მე არ ვიცი რას ამბობ..
უპასუხებდა ქალი...
...და მოსტაცა ვაჟმა ქალს უმანკოება.
და მოიღუშა... გული ყინვად ექცა... დადუმდა...
ქალი ალერსით მოეხვია ვაჟს, მაგრამ მან ძალით მოიცილა. შორს სურდა გაეტყროცნა...
უცებ მიწიდან, მიწა რომელიც დედაა სიცოცხლისა და სიკვდილისა, ამოძვრა გველი და ვაჟს ყელზე შემოეხვია... ქალი შეჰკრთა:
— ჭაბუკო რა არის ეგ საშინლება?..
— ბოროტება... ჩემი განზრახვა...— იყო პასუხი...

შავი გვირგვინი.

ჩამოჰკრეს გლოვის ზარი...
შარა გზაზე მოისმა ,,სულთათანას‘‘—ხმა.
ახალგაზრდა ქალს მიასვენებდნენ...
ქალწულთა გუნდს მაღლა ეჭირა ცხედარი—-საცოდავს თითქოს ეძინა—ნაზად განისვენებდა. სახეზე ღიმი უკრთოდა, თითქოს თავის ბედს დასცინოდა...
— საცოდავი,— ისმოდა ხალხში ჩურჩული.
— ნეტავ რად მოიკლა თავი?..
— არავინ იცის...
...და ცხედარი მიაბარეს მიწას... დასტოვეს მარტოდ...
დაღამდა...
თითქოს ყველას მიავიწყდა...
ამ დროს, ღამის წყვდიადში გამოჩნდა ლანდივით ვინმე უცნობი ვაჟი, რომელიც ქალის საფლავზე აქვითინდა...
— მე... მე ვარ მიზეზი... ჩურჩულებდა იგი.
მისწი-მისწია სამარეზე მდებარე გვირგვინები და მათ შუა ჩადვა შავი გვირგვინი...
—აჰა! მიიღე მოღალატისაგან. წამოიძახა მწარედ და განქრა საფლავთა შორის!

რითმეგის ტურნირი.

რითმა — სიტყვის ორეულია და სტრიქონის
ბრწყინვალე მსაჯული;
მას შეჰყავს ჩვენებათა ქაოსი სამუდამო ნაპირებში.

აი რითმეგი — პოეტების ახალი პორტრეტები:

გაფრინდაშვილი ვალერიან: ქორწილს — დალორწილს.
მაინტ — რაინდს.

გვეტაძე რაჟდენ: მემინდე — შემინდე,
ტაროსი — მარაოსი.

გრიშაშვილი ი.: ამქარი — უალამქარი,
მდურავი — ნურავინ.

დარიანი ელენე: ხელუხლები — მუხლები,
არ სჩანს არავინ — ტანსაცვარავი.

იაშვილი პაოლო: ნადიმი — ბადიმი,
მაესტრო — დაესწრო.

კარმელი შალვა: ტევრებს — სატევრებს.

ლ ე ო ნ ი ძ ე გ.: სერაბიმი — ესერაბამი.

მაჭავარიანი ლადო: ზღვაბინდი — რაინდი,
გადადმა — ამადამ.

მეგრელიშვილი გ.: მადამი — მუდამ.

ნადირაძე კოლლაუ: ბარადი — მარადი,
ქუჩებს — ურჩევს.

როგბაქიძე გრიგოლ: დადარი — ნადადარი,
შოთასი — ათასი.

ტაბიძე გალაქტიონ: ასოებით — სასოებით,
სილაში ვარდი — სილაკვარდე.

ტ ა ბ ი ძ ე ტ ი ტ ე: ეკვრები — კენტავრები,
მხედარს — მხედავს.

ცეცხლაძე გრიგოლ: როდენს — „გიხარდენს“,
ხელაბერობილი — საბერობილე.

ჯაფარიძე ლელი: ქუჩა — დაჩაქუჩა,
ბარათს — ამირბარათ.

ქუთაისი
თებერვალი
ჩშიც.

1 მ. და ა შ.

0392
1918/2

ქართ. შ. წ.-კ. გამავრც. საზ. ქუთ. განყ. სტამბა